

მოდული 16
თემატური გეგმა იმუნოლოგიაში მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის
ლექციები

კვირა 1.

ზემგრძნობელობის I ტიპი. ატოპია. E კლასის იმუნოგლობულინი. ადამიანებში ალერგიული პასუხის გენეტიკა. დაუყოვნებელი და გვიანი ფაზის რეაქციები, I ტიპის ზემგრძნობელობის რეაქციების კლინიკური ასპექტები: სისტემური ანაფილაქსია, ალერგიული ასთმა, ურტიკარია და ქრონიკული ეგზემა. ალერგიული დაავადებების იმუნოთერაპია.

ზემგრძნობელობის II ტიპი. დაზიანების მექანიზმები. II ტიპის ზემგრძნობელობის რეაქციების კლინიკური ვარიანტები: სისხლის უჯრედებისა და თრომბოციტების საწინააღმდეგო რეაქციები: ტრანსფუზიური რეაქცია, ახალშობილთა ჰემოლიზური ანემია. ქსოვილოვანი ანტიგენების საწინააღმდეგო რეაქციები: გუდაპასჩერის სინდრომი, პემფიგუსი, ავთვისებიანი მიასთენია, ლამბერტ-იტონის სინდრომი (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 13,14).

კვირა 2.

ზემგრძნობელობის III ტიპი. III ტიპის ზემგრძნობელობის რეაქციის მექანიზმები. იმუნური კომპლექსების პერსისტირება. ქსოვილებში იმუნური კომპლექსების ჩალაგება. იმუნური კომპლექსებით განპირობებული დაავადებები: არტიუსის რექცია, შრატისმიერი დაავადება, ფერმერის ფილტვები.

ზემგრძნობელობის IV ტიპი: შენელებული ტიპის ზემგრძნობელობის რეაქციები (Th1, Th2, Th17 ტიპის), CD8 T უჯრედებით განპირობებული ციტოტოქსიკური რეაქციები. კონტაქტური ზემგრძნობელობა. ტუბერკულოზის ტიპის ზემგრძნობელობა. გრანულომური ზემგრძნობელობა. Th1 ტიპის ზემგრძნობელობის რეაქციებით მიმდინარე დაავადებები: კეთრი, ტუბერკულოზი, შისტოსომიაზი, სარკოიდოზი, კრონის დაავადება (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 15,16).

კვირა 3.

აუტოიმუნიტეტი და აუტოიმუნური დაავადებები. აუტოიმუნიტეტის კავშირი დაავადებებთან. ორგანოსპეციფიკური და აორგანოარასპეციფიკური დაავადებები. აუტოიმუნური დაავადებების განვითარების პათოგენეზური მექანიზმები. აუტოიმუნური დაავადებების იმუნოთერაპია (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 18).

კვირა 4.

სიმსივნის იმუნოლოგია. სიმსივნე როგორც ქსოვილოვანი ტრანსპლანტანტი. იმუნური ზედამხედველობა. სიმსივნესთან ასოცირებული ანტიგენები. სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნური პასუხი. სიმსივნის მიერ იმუნური პასუხის თავიდან აცილება. იმუნოდიაგნოსტიკა. იმუნოთერაპია (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 19).

კვირა 5.

იმუნოდეფიციტები. იმუნური სისტემის კლინიკური და ლაბორატორიული შეფასება. B უჯრედული დეფიციტი. T უჯრედული დეფიციტი. ფაგოციტების დეფექტი. კომპლემენტის დეფიციტი. წამლებით გამოწვეული იმუნოდეფიციტი. ვირუსებით გამოწვეული იმუნოდეფიციტი. ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსი (აივ): აივინფექცია, იმუნური დისფუნქცია. აივ ინფექციის მკურნალობის პრინციპები (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 20,21).

კვირა 6.

ტრანსპლანტაციური იმუნოლოგია. ტრანსპლანტაციური ანტიგენები: MHC ანტიგენები, ABO სისტემა. დონორ-რეციპიენტის შერჩევა. მასპინძელი ტრანსპლანტანტის წინააღმდეგ. ტრანსპლანტანტი მასპინძლის წინააღმდეგ. ტრანსპლანტანტის მოცილების მექანიზმები: ანტისხეულების, ლეიკოციტების, ციტოკინების როლი ტრანსპლანტანტის მოცილებაში. ზემწვავე მოცილება. მწვავე მოცილება. ქრონიკული მოცილება. ორგანოებისა (თირკმელი, ღვიძლი, გული, გული-ფილტვი) და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია. ტრანსპლანტანტის მოცილებისა და

ტრანსპლანტანტი მასპინძლის წინააღმდეგ რეაქციის პრევენცია. პოსტტრანსპლანტაციური თერაპია (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 22).

სემინარები

კვირა 1.

ზემგრძნობელობის I და II ტიპი. ყოველდღიური გამოკითხვის ტესტი. I და II ტიპის ზემგრძნობელობის რეაქციებზე მსჯელობა კლინიკური შემთხვევების განხილვის საფუძველზე (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 13,14).

კვირა 2.

ზემგრძნობელობის III და IV ტიპი. ყოველდღიური გამოკითხვის ტესტი. III და IV ტიპის ზემგრძნობელობის რეაქციებზე მსჯელობა კლინიკური შემთხვევების განხილვის საფუძველზე (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 15,16).

კვირა 3.

აუტოიმუნიტეტი. აუტოიმუნური დაავადებების შესახებ კლინიკური შემთხვევების განხილვა (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 18).

კვირა 4.

კოლოქვიუმი (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 13-16,18).

კვირა 5.

სიმსივნის იმუნოლოგია. ყოველდღიური გამოკითხვის ტესტი. კლინიკური შემთხვევების განხილვა სიმსივნის იმუნოთერაპიის შესახებ (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 19).

კვირა 6.

იმუნოდეფიციტები. პაციენტებში უჯრედული და კომპლემენტის დეფიციტის, შემენილი იმუნოდეფიციტის სინდრომის შესახებ კლინიკური შემთხვევების განხილვა (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 20,21).

კვირა 7.

ტრანსპლანტაციური იმუნოლოგია. ყოველდღიური გამოკითხვის ტესტი. კლინიკური შემთხვევები ტრანსპლანტაციის კლინიკური ფორმების, პოსტტრანსპლანტაციური თერაპიის შესახებ (თ.ჩიქოვანი იმუნოლოგია 2017, თავი 22).